სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ მაზანაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	16	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	87	100

შემფასებელი: გიორგი გზობავა

თარიღი:

04.07.2025ნ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„ 04 “ ივლისი, 2025 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **თამარ მაზანაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 მარტის №1/32 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **თამარ მაზანაშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2025 წლის 28 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **თამარ მაზანაშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ამავე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **თამარ მაზანაშვილი** გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, პასუხისმგებლობით, შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, პრინციპულობით, კომპეტენტურობით და ანალიტიკური აზროვნების უნარით. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში **თამარ მაზანაშვილს** არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **თამარ მაზანაშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

თამარ მაზანაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 91/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 5.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სამოქალაქო სამართალში* - თამარ მაზანაშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. *ადმინისტრაციულ სამართალში* - თამარ მაზანაშვილი არის ძალიან გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანი. მას აქვს კარგი თეორიული ცოდნა, რასაც სათანადოდ იყენებს

პრაქტიკაში. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულია. ამასთან, სამომავლოდ, მან <u>უნდა განავითაროს აკადემიური წერის კულტურა</u>. *სისხლის სამართალში* - თამარ მაზანაშვილს აქვს კარგი თეორიული ცოდნა და სათანადოდაც ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ **თამარ მაზანაშვილი** სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე ადამიანის უფლებათა სამართალს და მუდმივად ეცნობა უახლეს სასამართლო პრაქტიკას.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ მაზანაშვილი** უნდა შეფასდეს 22 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს პროფესიით მუშაობის ცხრაწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, **თამარ მაზანაშვილს** აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი, დამაჯერებლად ასაბუთებს პოზიციას, რაშიც ეხმარება სასამართლოში მუშაობის გამოცდილება.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის სხვადასხვა სფეროს ირგვლივ. კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნებისა და აზრის კვალიფიციურად გადმოცემის უნარი, შეუძლია სამართლის სხვადასხვა სფეროში აქტუალურ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ მაზანაშვილი** უნდა შეფასდეს 22 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

თამარ მაზანაშვილი მეტყველებს გამართულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი, კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას და შეხედულებებს.

კანდიდატის წერის უნარს რაც შეეხება, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სათანადო

წერის უნარი. კერძოდ, იგი აზრს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად. ტექსტი არის გამართული და დაინტერესებული პირებისათვის არ არის რთულად აღქმადი. მნიშვნელოვანია, რომ მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - „თამარ მაზანაშვილს შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები მოწონებას იმსახურებდა და მხოლოდ უმნიშვნელო შენიშვნების გაკეთებას საჭიროებდა. გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, აზრს აყალიბებდა გამართულად, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. თამარ მაზანაშვილი გადაწყვეტილებებზე მსჯელობისას საკუთარ აზრს გადმოსცემდა გასაგებად, მეტყველებდა გამართული ქართულით და ყურადღებას ამახვილებდა საქმის მასალების მნიშვნელოვან ასპექტებზე. აქვს კარგი უნარი ლაკონიურად გადმოსცეს აზრი. შეუძლია საქმის გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მხოლოდ მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება."

დასკვნა: წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ მაზანაშვილი** უნდა შეფასდეს 16 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

2.4. პროფესიული თვისებები

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის პუნქტუალური, მიზანდასახული, გულმოდგინე, შრომისმოყვარე, პროდუქტიული, შეუძლია სტრესულ სიტუაციაში მუშაობა.

დასკვნა: პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ მაზანაშვილი** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

თამარ მაზანაშვილი ღიაა სიახლეების მიმართ, აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, შეძენილ ცოდნას და უნარებს პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად იყენებს.

კანდიდატი 2025 წლის გაზაფხულის სემესტრიდან არის მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (სისხლის სამართლის მიმართულებით).

თამარ მაზანაშვილმა 2023 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს შემდეგი სტატიები:

- „ქალთა ადრეული და იძულებითი ქორწინება", „მაია ივანიძე 50", საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რედაქტორი: თ. მახარობლიძე, თბილისი, 2017 წელი;
- „ფემიციდი, როგორც გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობა", ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები" №3, 2018, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სარედაქციო საბჭო: მ. ივანიძე, ნ. გოგნიაშვილი, თ. მახარობლიძე, მ. მესხი, თბილისი, 2018 წელი;
- „ოჯახში ძალადობის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი (შედარებით სამართლებრივი ანალიზი)", ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები" №5, 2022, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სარედაქციო საბჭო: მ. ივანიძე, ნ. გოგნიაშვილი, თ. მახარობლიძე, მ. მესხი, თბილისი, 2022 წელი.

თამარ მაზანაშვილმა წარმოადგინა სასემინარო ნაშრომები: „ოჯახში ძალადობის შედარებით სამართლებრივი ანალიზი" (თსუ, 2020 წელი) და „ადევნების სისხლისსამართლებრივი ასპექტები" (სადოქტორო სემინარი, თსუ, 2021-2022 სასწავლო წელი). კანდიდატი არის სარედაქციო საბჭოს წევრი - სისხლის სამართლის ჟურნალი (სტუდენტთა), თსუ იურიდიული ფაკულტეტი, 2019 წელი, სისხლის სამართლის მიმართულების პერიოდული გამოცემა.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ მაზანაშვილი** უნდა შეფასდეს 8 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

თამარ მაზანაშვილს აქვს ინიციატივის გამოჩენის უნარი, შეუძლია იდეებისა და წინადადებების წამოყენება. კანდიდატი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის" სტუდენტი.

<u>კანდიდატმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:</u>

- 2021 წლის 25 თებერვალი, ონლაინ სემინარი სასამართლოს დამოუკიდებლობაზე - DoJ;
- 2021 წლის 22-25 მარტი, დისტანციური ტრენინგი - „კიბერდანაშაული და ელექტრონული მტკიცებულებები" - EU4JUSTICE;
- 2021 წლის 31 მარტი, „მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ხელშემწყობი სასამართლოები აშშ-ში" – DoJ;
- 2021 წლის 7 აპრილი, „ირიბი მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებების დასაშვებობა ოჯახური ძალადობის საქმეებზე" – DoJ;
- 2021 წლის 2 მაისი, „აღდგენითი მართლმსაჯულება" - EU4JUSTICE;
- 2023 წლის 3 იანვარი - 30 მარტი, საგრანტო პროექტი „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცება" - თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოება და სხვა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თამარ მაზანაშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **თამარ მაზანაშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **<u>87</u>** ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი